თბილისი, საქართველო, 2008 წლის 9 დეკემბერი

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ანგარიშვალდებულება და საქართველოსთვის გამოყოფილი დახმარება

ზოგადი მიმოხილვა

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მიერ განხორიცელებულ კვლევაში განხილულია, თუ რამდენად ხელმისაწვდომია საქართველოსთვის განკუთვნილი საერთაშორისო დახმარების შესახებ ინფორმაცია და რამდენად დაცულია ანგარიშვალდებულების პრინციპი. 2008 წლის 22 ოქტომბერს ბრიუსელში გამართულ კონფერენციაზე დონორები საქართველოს 4,5 მლრდ. დოლარის ოდენობის დახმარებას დაპირდნენ.

კვლევის სტრუქტურა ასე გამოიყურება:

- დაპირებული თანხის მთლიანი ოდენობა
- ძირითადი დონორები
- გრანტებისა და სესხების ხვედრითი წილი
- სექტორები, სადაც მიმართულ იქნება დახმარება
- დაპირებული და რეალურად გამოყოფილი თანხების თანაფარდობა
- დახმარების გამოყოფისას წამოყენებული პირობები
- ქართული მხარის ძირითადი მოქმედი პირები
- დახმარების პროცესის სირთულეები
- დახმარების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
- დემოკრატიული მონაწილეობა
- რეკომენდაციები

კვლევის ბოლოს მოცემული დასკვნის თანახმად, დახმარების შესახებ ადვილად ხელმისაწვდომი და აქტუალური ინფორმაციის ამჟამინდელი დეფიციტი საჯარო სფეროში ამცირებს დახმარების გამოყოფის პროცესის გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულების ხარისხს და ზღუდავს დემოკრატიული პოლიტიკური საქმიანობის შესაძლებლობას. ბრიუსელში გამართული დონორთა კონფერენციის შემდეგ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ არ აღმოუჩენია და არც უძებნია საქართველოსთვის საერთაშორისო დახმარების გამოყოფასთან დაკავშირებული კორუფციის შემთხვევები, თუმცა ინფორმაციის არსებული დეფიციტი და მის შედეგად წარმოქმნილი გამჭვირვალობის ნაკლებობა ზრდის საფრთხეს იმისა, რომ დახმარება მომავალში არასწორად განაწილდება, გაიფლანგება ან მოპარულ იქნება.

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

იმისათვის, რომ საერთაშორისო დახმარებამ ხელი შეუწყოს საქართველოს ჩამოყალიბებას სტაბილურ, დემოკრატიულ და წარმატებულ სახელმწიფოდ, დონორებმა და აგრეთვე ქართული მხარის ძირითადმა მოქმედმა პირებმა აქტიურად უნდა ითანამშრომლონ და საზოგადოებისათვის უფრო ხელმისაწვდომი გადახადონ ყოვლისმომცველი (და გასაგები) ინფორმაცია დახმარების შესახებ.

მოცემული კვლევა განხორციელდა საქართველოში ეუთო-ს მისიის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

დაპირებული დახმარების მთლიანი ოდენობა

ოქტომბერში გამართულ ბრიუსელის კონფერენციაზე დონორები, რომლებიც 38 ქვეყანას და 15 საერთაშორისო ორგანიზაციას წარმოადგენდნენ, საქართველოს 2008-2010 წლებში 4,5 მლრდ. აშშ დოლარის ოდენობის დახმარების გამოყოფას დაპირდნენ.[1]

გრაფიკი №1. დაპირებული დახმარების მთლიანი ოდენობა წლების მიხედვით



ძირითადი დონორები

ამ თანხიდან 2 მლრდ. დოლარზე ოდნავ მეტი ცალკეულ ქვეყნებსა და ევროპის კავშირზე მოდის. მარტო ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს დაახლოებით იმავე ოდენობის დახმარებას დაპირდა, რაც ყველა სხვა დონორი ქვეყანა ერთად აღებული.

გრაფიკი №2. ძირითადი დონორი ქვეყნები (დაპირებული მლნ. აშშ დოლარი)



[1] ინფორმაცია ბრიუსელის კონფერენციაზე დონორების მიერ დაპირებული თანხების შესახებ აღებულია მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნებული სიიდან. საინტერესოა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ბანკის პრეს-რელიზში „38 ქვეყანა და 15 საერთაშორისო ორგანიზაცია“ არის ნახსენები, დონორთა თანდართულ სიაში გაცილებით ნაკლები სუბიექტია მოყვანილი. გამოტოვებულ სუბიექტა შორის არის სულ მცირე ერთი დონორი, რომელიც ესწრებოდა კონფერენციას და გააკეთა დაპირება, მაგრამ ითხოვა, რომ სიაში არ ყოფილიყო მოხსენიებული.
http://go.worldbank.org/38ZWL0Z6O0

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

საქართველოსთვის დაპირებული დახმარების თითქმის სამი მეხუთედი, ანუ 2,4 მლრდ. დოლარზე მეტი, საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებსა და ორგანიზაციებზე მოდის.

გრაფიკი №3. ძირითადი დონორი ინსტიტუტები (დაპირებული მლნ. აშშ დოლარი)



გრანტებისა და სესხების ხვედრითი წილი

დახმარების სახით გამოყოფილი თანხა საჩუქარი არ არის. დაახლოებით 2 მლრდ. დოლარი, ანუ საქართველოსთვის დაპირებული მთლიანი დახმარების თითქმის ნახევარი, სესხებზე მოდის, რომელთა დაბრუნება ქართველ გადასახადების გადამხდელებს მომავალ წლებსა და ათწლეულებში მოუწევთ.

ფინანსთა სამინისტროს განცხადებით, არსებობს ორი მიზეზი, თუ რატომ არ აღმოჩნდება საქართველო ვალების მახეში ამ ახალი სესხების მიღების მიუხედავად. უპირველეს ყოვლისა, საერთასორისო ფინანსური ინსტიტუტების მიერ შემოთავაზებული სესხები ძალზედ შეღავათიანია. საპროცენტო განაკვეთი ხშირად მხოლოდ ერთი პროცენტია, საშეღავათო პერიოდები ხანრგძლივია, ხოლო სესხის ძირითადი თანხის დაფარვის საბოლოო ვადა ზოგიერთ შემთხვევაში 40 წელს შეადგენს. ამას გარდა, ვალის გასტუმრების გრაფიკების შეცვლის, სწრაფი ეკონომიკური ზრდისა და სესხების სფეროში გატარებული გონივრული პოლიტიკის წყალობით საქართველოს საგარეო ვალი ამჟამად მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 16% შეადგენს.

დონორთა კონფერენციაზე განხილული სამწლიანი პერიოდის დასასრულს საგარეო ვალი სავარაუდოდ კვლავაც საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის 20% ნაკლები იქნება. საქართველოს საგარეო ვალის მოცულობა პიკს სავარაუდოდ 2013 წელს მიაღწევს, თუმცა, მისი თანაფარდობა მთლიან შიდა პროდუქტთან, ყველაზე უარეს შემთხვევაშიც კი, საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებულ 35% ზღვარზე გაცილებით დაბლა იქნება, რომ აღარაფერი ვთქვათ შევარდნაძის მმართველობის პერიოდზე, როდესაც ეს მაჩვენებელი 50% აღემატებოდა.

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

პრიორიტეტული სექტორები

მსოფლიო ბანკის მიერ მოწოდებული ერთგვერდიანი სიის თანახმად, კონფერენციაზე დაპირებული დახმარების ორი მესამედი შემდეგ ოთხ სექტორზე მოდის:

- საბანკო სისტემა
- ტრანსპორტი
- ბიუჯეტი და მაკრო-საფინანსო დახმარება
- ენერგეტიკა

დაპირებული თანხიდან 766 მლნ. დოლარი ჯერ-ჯერობით არ გადანაწილებულა კონკრეტულ სექტორებზე.

ცხრილი №1. დონორთა დანაპირები სექტორების მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)

სექტორი	დანაპირები
საბანკო სისტემა	853
ტრანსპორტი	682
ბიუჯეტი და მაკრო-საფინანსო დახმარება	586
ენერგეტიკა	381
იძულებით ადგილნაცვალი პირები	350
კერძო და საფინანსო სექტორი	252
ურბანული და მუნიციპალური სექტორი	211
გადაუდებელი საჭიროებები	100
სხვა	355
გაუნაწილებელი თანხა	766
ჯამი	**4,536**

წყარო: მსოფლიო ბანკი

დაპირებული და რეალურად გამოყოფილი თანხების თანაფარდობა

მნიშვნელოვანია ასევე, რომ ერთმანეთისაგან განვასხვაოთ დონორთა დანაპირები და მათ მიერ რეალურად გამოყოფილი თანხა. ზოგიერთ შემთხვევაში, დახმარების გამოყოფის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება დონორი ქვეყნის პარლამენტმა არ დაამტკიცოს. აგრეთვე შესაძლებელია, რომ დონორებს ჰქონდეთ შესაბამისი თანხები, მაგრამ ვერ მოახერხონ მათი გამოყოფა ისე სწრაფად, როგორც თავდაპირველად იყო დაგეგმილი.

საქართველოს შემთხვევაში დღეისათვის არსებული მონაცემები ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა. ძირითადმა დონორებმა, როგორც ჩანს, უკვე გამოყვეს ბრიუსელის კონფერენციაზე გამოთქმული დაპირებების თანახმად 2008 წლისათვის გათვალისწინებული თანხები.

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

გრაფიკი №4. დაპირებული და რეალურად გამოყოფილი დახმარების თანაფარდობა 2008 წელს (მლნ. აშშ დოლარი)



წყარო: მსოფლიო ბანკი (დაპირებული თანხები); „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მიერ განხორციელებული დონორთა საქმიანობის კვლევა (გამოყოფილი თანხები)

თუმცა, როდესაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ უშუალოდ დაუკავშირდა დონორებს, რათა დაედგინა, თუ რომელ სექტორებს გამოუყვეს მათ დაფინანსება 2008 წელს, აღმოჩნდა, რომ არსებობს დიდი განსხვავება კონფერენციის მსვლელობისას ამა თუ იმ სექტორისთვის დაპირებული დახმარების ოდენობასა და ამავე სექტორებისთვის დონორთა მიერ ადგილზე გამოყოფილი თანხების ოდენობას შორის.

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

გრაფიკი №5: დონორთა დანაპირები (მარცხნივ) და დადასტურებული დახმარება (მარჯვნივ) სექტორების მიხედვით 2008 წელს (მლნ. აშშ დოლარი)



ზემოაღნიშნული შეუსაბამობის გათვალისწინებით აუცილებელია, რომ დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელ სექტორს აღუთქვა დახმარება ამა თუ იმ დონორმა ბრიუსელის კონფერენციაზე. ამ დროისათვის მსოფლიო ბანკს ეს ინფორმაცია არ გამოუქვეყნებია[2].

დახმარების გამოყოფისას წამოყენებული პირობები

არსებობს დახმარების გამოყოფისას წამოყენებული წინაპირობების ორი სახეობა - პროცედურული და პოლიტიკური წინაპირობები.

- **პროცედურული წინაპირობები**

დონორთა უმრავლესობას აქვს პროცედურული წინაპირობები, რომლებიც არეგულირებს იმას, თუ როდის და როგორ გამოიყოფა დახმარებით გათვალისწინებული თანხა, როგორც განხორციელდება ამ თანხის გამოყენების მონიტორინგი და რა სახის ანგარიშის წარმოდგენა მოუწევს მიმღებ მხარეს. პროცედურული წინაპირობები განსხვავებულია კონკრეტული დონორისა თუ სექტორის მიხედვით.

[2] მსოფლიო ბანკმა გამოაქვეყნა ორი სია, ესენია: დაპირებული თანხები დონორი ქვეყნების მიხედვით და დაპირებული თანხები სექტორების მიხედვით. მსოფლიო ბანკს ჯერ არ გამოუქვეყნებია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელი დონორი ქვეყანა რა სექტორს აფინანსებს. იხილეთ: http://go.worldbank.org/38ZWL0Z6O0

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

მაგალითისათვის, საბიუჯეტო დახმარებასთან დაკავშირებული წინაპირობები, როგორც წესი, ფოკუსირებულია არსებულ სამთავრობო მექანიზმებზე, თუმცა სხვადასხვა დონორებს შორის ამ მხრივ მნიშვნელოვანი განსხვავებები არსებობს. უკრაინამ განაცხადა, რომ საქართველოს მთავრობისათვის მის მიერ გაწეული დახმარება ნდობას ემყარება და რომ თბილისს შეუძლია ეს თანხები საკუთარი შეხედულებისამებრ გამოიყენოს. ამისაგან განსხვავებით, ევროკავშირის წევრმა ერთ-ერთმა ქვეყანამ გაანახევრა დაგეგმილი საბიუჯეტო დახმარების ოდენობა, რადგანაც გადაწყვიტა, რომ ზედამხედველობის არსებული მექანიზმები საკმარისი არ არის. მდგომარეობის გამოსწორების შემთხვევაში ამ ქვეყანამ შეიძლება მომავალში დახმარების მოცულობა გაზარდოს. ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ გამოყოფილი საბიუჯეტო დახმარების გამოყენების კონტროლი ფინანსთა სამინისტროსა და პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტში არსებული მექანიზმების საშუალებით ხორციელდება.

დონორთა მიერ საბანკო სექტორისთვის გაწეული დახმარება საქართველოში მოქმედ ცალკეულ ბანკებთან ხელმოწერილ კონტრაქტებს ეფუძნება, ხოლო ფინანსთა სამინისტრო უშუალო ზედამხედველობას არ აწარმოებს.

- **პოლიტიკური წინაპირობები**

პოლიტიკური პირობები არის დონორთა მიერ წამოყენებული ის წინაპირობები, რომლებიც დახმარების ან მისი გარკვეული ნაწილის გამოყოფამდე უნდა შესრულდეს. მაგალითისათვის, დონორი შეიძლება თანხის გამოყოფას მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმდეს, თუ მიმღები ქვეყნის მთავრობამ გამოავლინა მზადყოფნა ებრძოლოს კორუფციას, გაზარდა პრესის თავისუფლების ხარისხი, განახორციელა ადმინისტრაციის შემადგენელი ნაწილების რეფორმა ან შეცვალა საარჩევნო კანონმდებლობა.

რამდენადაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოსთვის“ არის ცნობილი, მხოლოდ ევროპის ევროკომისიას (რომელმაც 637 მლნ. დოლარის გამოყოფის პირობა დადო) აქვს განზრახული, რომ დახმარება უშუალოდ პოლიტიკურ წინაპირობებს დაუკავშიროს. ევროკომისიას ჯერ არ მიუღია საბოლოო გადაწყვეტილება იმის თაობაზე, თუ რა წინაპირობების დაკმაყოფილება მოუწევს საქართველოს დახმარების მისაღებად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, დონორ ქვეყნებსა და ორგანიზაციებს საქართველოს ხელისუფლებასთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში პოლიტიკური და ეკონომიკური წინაპირობები ჩადებული ჩადებული აქვთ თუ არა, იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანა გამოყოფილ დახმარებას სათანადოდ ვერ გამოიყენებს ან პოლიტიკური პროცესები უარყოფითად განვითარდება, ადვილი შესაძლებელია, რომ დაპირებული თანხების შემოდინება შეწყდეს.

დახმარების კორდინაციაში ჩართული ძირითადი სტრუქტურები საქართველოში

ქართული ინსტიტუტები დახმარების პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. ამ მხრივ საკვანძო ფუნქცია ეკისრება ფინანსთა სამინისტროსა და პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს.

- **ფინანსთა სამინისტრო**

ფინანსთა სამინისტრო ძირითადი ქართული ინსტიტუტია უცხოელ დონორებთან ურთიერთობების მართვის პროცესში. სამინისტრო წამყვან როლს ასრულებს სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენაში, რომელიც ამჟამად პირდაპირი საბიუჯეტო დახმარების სახით საზღვარგარეთიდან მიღებულ თანხებს შეიცავს. გარდა ამისა, სამინისტრო არის ერთადერთი სახელმწიფო უწყება, რომელიც უფლებამოსილია აწარმოოს მოლაპარაკებები უცხო ქვეყნების მთავრობებთან და რეგიონულ და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან სესხების თაობაზე და ხელი მოაწეროს შესაბამის ხელშეკრულებებს.

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

სამინისტროს შიგნით დონორებთან ურთიერთობების კოორდინაციას უწევს საგანგებო დეპარტამენტი, რომელშიც 13 საჯარო მოხელე მუშაობს და რომელსაც მინისტრის მოადგილე ხელმძღვანელობს. ერთ-ერთი თანამშრომლის თქმით, დეპარტმენტი ცდილობს „მოიზიდოს რაც შეიძლება მეტი ფული რაც შეიძლება კარგი პირობებით და რაც შეიძლება კარგი მიზნებისათვის" და აგრეთვე ხელს აწერს ყველა შეთანხმებას სესხის თაობაზე. ერთი მაღალი თანამდებობის პირის განცხადებით, სამინისტროში დონორებთან ურთიერთობების მაკოორდინირებელი ერთი ორგანოს არსებობა საუკეთესო საშუალებაა დონორებთან მთავრობის ურთიერთობების კოორიდნაციისათვის და ამ ურთიერთობებში ანგარიშვალდებულების პრინციპის დაცვის უზრუნველსაყოფად. დეპარტამენტი ურჩევს დონორებს, რომ მათი პროექტების დაფინანსება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის გავლით განხორციელდეს.

დეპარტამენტი აწარმოებს საქართველოს მიერ მიღებული დახმარების აღნუსხვას, რაც ძალზედ რთულია ამოცანაა, თუ გავითვალისწინებთ თანხების ოდენობას, დონორთა სიმრავლეს და დაფინანსების მექანიზმების გამაოგნებელ ნაირსახეობას. აცნობიერებს რა, რომ ყოველი მცირე დონორისა თუ პროგრამის აღნუსხვა შეუძლებელია, ფინანსთა სამინისტრომ მიზნად დაისახა საქართველოში დონორთა მიერ გადმორიცხული თანხების 95% აღნუსხვა. არსებული მონაცემებით, სამინისტრო ახერხებს ამ ამოცანის შესრულებას (შედარებისათვის, დახმარების მიმღებ სხვა ქვეყნებს დონორთა მიერ გამოყოფილი ფულის თუნდაც ორი მესამედის აღნუსხვაც კი უჭირთ).

განვითარებისათვის გამოყოფილი თანხებისაგან განსხვავებით, ჰუმანიტარული დახმარებით სამინისტროს შემოსავლების სამსახური არის დაკავებული, რომელიც განბაჟების მონაცემებს აღნუსხავს. იმისათვის, რომ ჰუმანიტარული მიზნებით იმპორტირებული ტვირთი საბაჟო მოსაკრებლებისაგან გათავისუფლდეს, საჭიროა შემოსავლების სამსახურის ცნობა. შემოსავლების სამსახური ავალდებულებს დონორებს წარმოადგინონ პოსტ-ფაქტუმ ანგარიშები მათი პროექტების შესახებ. ამ საქმიანობით საერთო ჯამში შვიდი სახელმწიფო მოხელე არის დაკავებული.

ფინანსთა სამინისტროს შესაძლებლობები ზედამხედველობის სფეროში სამი ფაქტორის გამო არის შეზღუდული. უპირველეს ყოვლისა, დონორთა დანაპირები და მათი ბიუჯეტები მოიცავს თავად დონორების მიმდინარე ხარჯებს და ტექნიკური დახმარების ხარჯებს, მათ შორის კონსულტანტების ხელფასებს. სამინისტრო არ თხოვს დონორებს ამ სახის ინფორმაციის მიწოდებას. მეორეც, სამინისტრო ცდილობს არ ჩაერიოს დონორებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ურთიერთობებში. და ბოლოს, სამინისტრო არ მონაწილეობს დონორებისა და კომერციული ბანკების შეთანხმებებში.

ფინანსთა სამინისტრო ამჟამად ქმნის დახმარების მაკოორდინირებელ საბჭოს მინისტრის მოადგილის დონეზე. საბჭოს საქმიანობაში მონაწილეობას ყველა საკვანძო სამინისტროს წარმომადგენლები მიიღებენ. საბჭოს თავმჯდომარე ფინანსთა მინისტრი იქნება, ხოლო თანათავმჯდომარე - ფინანსთა მინისტრის მოადგილე დონორთა საქმიანობის კოორდინაციის საკითხებში.

ფინანსთა სამინისტრო ამჟამად განიხილავს სქემას, რომლის თანახმად ყველა დონორი კვარტალში ერთხელ ან წელიწადში ორჯერ წარმოადგენს ანგარიშს საკუთარი საქმიანობის შესახებ. სასურველია, რომ ეს ანგარიშები სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსდეს.

- **პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი**

საპარლამენტო კომიტეტი ფინანსთა სამინისტროს ანალოგიურ ფუნქციას ასრულებს საკანონმდებლო ხელისუფლებაში. კომიტეტის მოვალეობაა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის განხილვა და კომენტარების წარმოდგენა. თუმცა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" მიერ გამოკითხულ ექსპერტთა უმრავლესობამ ეჭვი გამოთქვა იმის თაობაზე, შესწევს თუ არა პარლამენტს დახმარების კონტროლის რთულ პროცესში შინაარსიანი მონაწილეობის უნარი.

- **ანტიკრიზისული საბჭო**

ანტიკრიზისული საბჭოს შექმნის წინადადება პრეზიდენტმა სააკაშვილმა აგვისტოს ბოლოს წამოაყენა. თავდაპირველი ჩანაფიქრის თანახმად, პოლიტიკური სპექტრისა და სამოქალაქო

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

საზოგადოების წარმომადგენლებს და დახმარების მიმღებ სუბიექტებს უნდა შეექმნათ ფორუმი, რომელიც „გააკონტროლებდა დახმარების მიღებასა და განაწილებას.“ ამ გეგმის თანახმად, უნდა შექმნილიყო რამოდენინე საბჭო, რომელთაგან ზოგიერთი კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ რეგიონებში იმუშავებდა.[3]

ამ დროისათვის მოქმედებს მხოლოდ ერთი ანტიკრიზისული საბჭო, რომელიც თბილისშია განთავსებული და რომელსაც საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელი ხელმძღვანელობს. [4] საბჭოს საქმიანობა დღემდე ისეთ საკითხებზე იყო ფოკუსირებული, რომლებიც საერთაშორისო დახმარებასთან არ არის დაკავშირებული.

- **ფინანსური პოლიტიკის საკოორდინაციო საბჭო**

პრემიერ მინისტრის რანგში ლადო გურგენიძე საკვანძო როლს ასრულებდა, როგორც მთავრობის წარმომადგენელი საჭიროებათა ერთობლივი შეფასების ჯგუფთან ურთიერთობებში. სწორედ ამ ჯგუფმა მოამზადა დღის წესრიგი ბრიუსელში გამართული დონორთა კონფერენციისათვის. გურგენიძე, რომელმაც საკუთარი თანამდებობა 27 ოქტომბერს განხორციელებული სამთავრობო ცვლილებების შედეგად დაკარგა, კვლავაც მოქმედებს, როგორც ეკონომიკურ და ფინანსურ საკითხებში პრეზიდენტისა და მთავრობის მრჩეველი. არსებული ინფორმაციის თანახმად, ის უშუალოდ აღარ მონაწილეობს უცხოური დახმარების შესახებ წარმოებულ მოლაპარაკებებში, თუმცა, გურგენიძე და ახალი პრემიერ-მინისტრი არიან ახლადშექმნილი ფინანსური პოლიტიკის საკოორდინაციო საბჭოს თანახელმძღვანელები.

დახმარების კოორდინაციის პროცესის სირთულეები

საქართველოსთვის განკუთვნილი უცხოური დახმარების სტრუქტურა ძალზედ რთულია, რადგანაც ეს დახმარება ათობით სახელმწიფოსა და ფინანსური ინსტიტუტის მიერ არის გამოყოფილი და თითოეულ მათგანს დაფინანსების საკუთარი არხები და თანხების გამოყოფის საკუთარი სისტემა აქვს.

მაგალითისათვის, ბრიუსელის კონფერენციაზე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველოს 1 მლრდ. დოლარის ოდენობის დახმარება აღუთქვა. ამერიკული დახმარების ძირითადი არხებია[5] ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), უცხო ქვეყნებისათვის კატასტროფების დროს დახმარების გაწევის ოფისი (OFDA), სახელმწიფო დეპარტამენტი, თავდაცვის დეპარტამენტი, საზღვარგარეთ კერძო ინვესტირების კორპორაცია (OPIC) და ფონდი „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“. თითოეულ ამ სააგენტოსა და ორგანიზაციას შეუძლია პირდაპირ გამოყოს დახმარება ან გაანაწილოს ის სხვა ორგანიზაციების საშუალებით. თავის მხრივ, ამ ორგანიზაციებმაც შეიძლება დაიქირაონ სუბკონტრაქტორები, ხოლო თანხების გამოყოფისა და ზედამხედველობის მექანიზმები თითოეული სუბიექტის შემთხვევაში განსხვავებული იქნება.

ამასთანავე, დონორთა პოზიცია დროთა განმავლობაში შეიძლება შეიცვალოს. პოლონეთმა დონორთა კონფერენციაზე 4,35 მლნ. დოლარის გამოყოფის პირობა დადო, თუმცა სულ რაღაც ორი თვის შემდეგ ეს თანხა 7,5 მლნ. დოლარამდე გაზარდა. [6] გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში

---

[3] "Saakashvili Proposes Anti-Crisis Group to Opposition", Civil Georgia, 30 August 2009. http://civil.ge/eng/article.php?id=19353&search=anti-crisis

[4] "Anti-Crisis Council Chair Selected", Civil Georgia, 18 September 2008. http://civil.ge/eng/article.php?id=19547&search=anti-crisis

[5] ერთ-ერთი წყაროს თანახმად, 2004 წელს გამართული საქართველოს დონორების კონფერენციის შემდგომ პერიოდში ამერიკული დახმარება 15 სხვადასხვა სუბიექტის მეშვეობით იქნა მოწოდებული.

[6] "Poland offers Georgia millions in postwar aid", Associated Press, 21 November 2008. http://www.iht.com/articles/ap/2008/11/21/europe/EU-Poland-Georgia.php

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

შესაძლებელია, რომ დონორი ქვეყნების პარლამენტებმა უახლოეს წლებში არ დაუჭირონ მხარი მათი მთავრობების მიერ საგარეო დახმარების სფეროში აღებულ ყველა ვალდებულებას. ევროკომისიის მიერ წამოყენებული პოლიტიკური პირობები დამატებით კითხვის ნიშნებს ბადებს. ვიდრე ბრიუსელის პირობები საბოლოოდ არ განსაზღვრულა და არ გამოქვეყნებულია, ძნელია თქმა, შეძლებს თუ არა საქართველოს მთავრობა მათ შესრულებას.

სხვადასხვა დონორებს განსხვავებული ფინანსური ციკლები აქვთ. მსხვილი სამშენებლო პროექტების შემთხვევაში, როგორიცაა გზების მშენებლობა, თანხები გამოიყოფა არა ერთბაშად, არამედ ნაწილ-ნაწილ ადგილზე სამუშაოს წინსვლის პარალელურად. ზოგჯერ ეს პროცესი რამოდენიმე წელიწადს გრძელდება. აქედან გამომდინარე, პრაქტიკულად შეუძლებელია დონორთა მიერ გამოყოფილი თანხების სეგმენტირება წლების მიხედვით. ბევრ დონორს ჯერაც არ დაუსრულებია 2008 წლისათვის დაპირებული დახმარების განაწილება, რომ აღარაფერი ვთქვათ მომდევნო წლებზე, რაც ართულებს დახმარების მიმღები სექტორების მიხედვით თანხების აღნუსხვას. ბევრი დონორი 2008 წლის შესახებ უფრო სრულ მონაცემებს სავარაუდოდ დეკემბერში გამოაქვეყნებს.

დახმარების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

მსოფლიო ბანკმა მართალია დაგვიანებით, მაგრამ მაინც გამოაქვეყნა დონორების მიერ დაპირებული თანხების ცხრილი ქვეყნების და სექტორების მიხედვით[7]. ამასთანავე, ჯერაც არ გამოქვეყნებულა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელ სექტორს რას დაპირდა თითოეული დონორი კონფერენციის მსვლელობისას. მსოფლიო ბანკმა ამას წინათ მიანიშნა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“, რომ ამ უმნიშვნელოვანესი ინფორმაციის გამოქვეყნებას უახლოეს მომავალში აპირებს. ასეთი ნაბიჯი დაეხმარება მსოფლიო ბანკს შეასრულოს მიმდინარე წელს აკრაში გამოცხადებული დაპირება, რომ „ამიერიდან დონორები წარმოადგენენ სრულ და დროულ ინფორმაციას წელიწადის განმავლობაში საკუთარ თავზე აღებული ვალდებულებების და რეალურად გამოყოფილი თანხების შესახებ.“

საქართველოსთვის გამოყოფილი დახმარების შესახებ ინფორმაციის საჯაროდ ხელმისაწვდომი და ცენტრალიზებული წყარო ამჟამად არ არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ ფინანსთა სამინისტრო, როგორც ჩანს, კარგად ართმევს თავს დახმარების აღნუსხვასა და კოორდინირებას, მისი ვებ-გვერდი არ აწვდის საზოგადოებას სრულ ინფორმაციას დონორთა საქმიანობის შესახებ.

ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებთან შეხვედრას თუ არ ჩავთვლით, საქართველოსთვის გამოყოფილი დახმარების შესახებ ინფორმაციის მოძიების ერთადერთი გზა არის ათობით მონაწილე დონორის საქმიანობის გამოკვლევა და კვლევის შედეგების შეჯერება. მართალია დონორთა უმეტესობა საკუთარი ვებ-გვერდის მეშვეობით გვაწვდის დეტალურ ინფორმაციას წარსული საქმიანობის შესახებ, მაგრამ ინფორმაცია მიმდინარე საქმიანობის და მომავალი გეგმების შესახებ, როგორც წესი, საკმაოდ მწირია. თვალშისაცემია, რომ დონორთა ვებ-გვერდებზე არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ გარდაიქმნება მათ მიერ ბრუსელში აღებული ვალდებულებები კონკრეტულ პროექტებად და რომელი პროექტები ხორციელდება ამ ვალდებულებების ფარგლებში. დაპირებებისა და პროექტების დამაკავშირებელი რგოლის არარსებობის გამო, უფრო დეტალური ინფორმაციის მისაღებად „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ დონორებთან პირდაპირ დაკავშირება მოუხდა.

ზოგიერთ დონორს აშკარად არ სურდა გამოყოფილი დახმარების შესახებ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოსთვის“ რაიმე არსებითი ინფორმაციის მიწოდება. მაგალითისათვის, იაპონიამ ბრუსელის კონფერენციაზე განაცხადა, რომ გამოყოფდა 200 მლნ. დოლარს. თუმცა, უამრავი ელექტრონული წერილისა და სატელეფონო ზარის მიუხედავად, შეუძლებელი აღმოჩნდა იმის დადგენა, თუ როგორ დაიხარჯება ეს ფული. ასეთივე თავშეკავებული იყო საერთაშორისო საფინანსო კორპორაციაც (IFC). მათგან განსხვავებით, გერმანია, შვედეთი, შვეიცარია და აზიის

[7] იხ. http://go.worldbank.org/38ZWL0Z6O0

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

განვითარების ბანკი, აგრეთვე საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ძალზედ მონდომებულად პასუხობენ შეკითხვებს.

დონორებთან „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" კომუნიკაციის კონტექსტში აღსანიშნავია ის, რომ მათმა უმრავლესობამ (თუმცა არა ყველა მათგანმა)[8] ვერ მოახერხა სწრაფად და ეფექტურად გაეცა პასუხი მიმართვებზე, რომლებიც დეტალური ინფორმაციის მიწოდების თხოვნას შეიცავდა. დონორთა წარმომადგენლობები ზოგჯერ დაბნეულები ჩანდნენ, რადგან ვერ არკვევდნენ, თუ ვინ იყო პასუხისმგებელი ასეთი საჯარო შეკითხვებისთვის პასუხის გაცემაზე. თანამშრომლები არ იყვნენ დარწმუნებულნი, თუ რა სახის ინფორმაციის გაცემის უფლება ჰქონდათ, ხოლო დონორთა რამოდენიმე წარმომადგენელმა უარი განაცხადა ზოგიერთი სახის ინფორმაციის წერილობითი სახით წარმოდგენაზე, თუმცა კი ისინი მზად იყვნენ იგივე ინფორმაცია ზეპირად გადმოეცათ ტელეფონის საშუალებით.

საქართველოსთვის გამოყოფილი დახმარების შესახებ ინფორმაციის საჯაროდ ხელმისაწვდომი ცენტრალიზებული წყაროს არარსებობა და დონორთა მიერ საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდების შეზღუდული მასშტაბები საქართველოში არსებული დაინტერესებული მხარეებისთვის პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის იმის გარკვევას, თუ ვინ რას, როდის, სად და როგორ აფინანსებს. მიუხედავად იმისა, რომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" ერთ-ერთი თანამშრომელი მოცემულ კვლევას ორი თვის მანძილზე მთელს სამუშაო დროს უთმობდა, ორგანიზაციას მაინც არ აქვს სრული ინფორმაცია დონორთა საქმიანობის შესახებ.

დემოკრატიული მონაწილეობა

დახმარების შესახებ ადვილად ხელმისაწვდომი და აქტუალური ინფორმაციის არარსებობა საჯარო სფეროში უშუალოდ ამცირებს დახმარების გამოყოფის პროცესის გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულების ხარისხს და ზღუდავს დემოკრატიული პოლიტიკური საქმიანობის შესაძლებლობას.

მაგალითად, საჯაროდ ხელმისაწვდომ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეუძლებელია იმის გარკვევა, საკმარისია თუ არა ის თანხები, რომელთა გამოყოფას დონორები აპირებენ იმ იძულებით ადგილნაცვალ პირთა განსახლების დასაფინანსებლად, რომლებიც 1992 წლიდან კოლექტიურ თავშესაფრებში ცხოვრობენ. საჭიროებათა შეფასების ერთობლივი დოკუმენტის[9] თანახმად, იძულებით ადგილნაცვალ პირთა დაბინავებისათვის 576 მლნ. დოლარია საჭირო, მაგრამ დონორთა დაპირებების მსოფლიო ბანკის მიერ წარმოდგენილ ცხრილში „იძულებით ადგილნაცვალი პირებისათვის" მხოლოდ 350 მლნ. დოლარია გამოყოფილი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „საბიუჯეტო და მაკრო-საფინანსო დახმარებისთვის" გამოყოფილი 586 მლნ. დოლარის გარკვეული ნაწილი ასევე იქნება გამოყენებული იძულებით ადგილნაცვალი პირების განსახლებისთვის. სავარაუდოდ იგივე მიზანს მოხმარდება იმ 766 მლნ. დოლარის ნაწილიც, რომელიც კონკრეტულ სექტორებზე ჯერ არ განაწილებულა. ამის შესახებ ინფორმაცია ამჟამად არ მოიპოვება.

ამგვარი ინფორმაციის გარეშე ქართულ მედიას, სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებს და პოლიტიკოსებს არ აქვთ არანაირი საშუალება დაადგინონ, სრულდება თუ არა იძულებით ადგილნაცვალ პირთა განსახლების გეგმა და უნდა მოითხოვონ თუ არა მათ ამ მიზნისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფა. თავად იმ ადამიანებს, რომლებიც უკვე დიდი ხანია მიეკუთვნებიან იძულებით ადგილნაცვალ პირთა კატეგორიას, არ აქვთ არანაირი საშუალება, გაარკვიონ, თუ რა ბედი ეწევა მათ. საკითხი, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია

[8] მიმდინარე მონიტორინგის ფარგლებში 2009 წელს „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო" შეიმუშავებს და გამოაქვეყნებს საქართველოში მოქმედ დონორთა გამჭვირვალობის რეიტინგს.

[9] საჭიროებათა შეფასების ერთობლივი დოკუმენტის სრული ვერსია კვლავ არ გამოქვეყნებულა. არსებული ინფორმაციით, ამის მიზეზი საქართველოს მთავრობის დაჟინებული თხოვნა გახდა.
საჭიროებათა შეფასების ერთობლივი დოკუმენტის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, იხილეთ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" წინა ანგარიში:
http://www.transparency.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=215&info_id=447

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

დაახლოებით 100 000 ქართველისთვის, თითქმის მთლიანად ამოღებულია დემოკრატიული პოლიტიკის სფეროდან, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება დაპირებებს, რომლებიც დონორებმა გამოთქვეს 2005 წ. პარიზის დეკლარაციაში დახმარების ეფექტურობის შესახებ და 2008 წ. აკრის სამოქმედო გეგმაში.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" რეკომენდაციები

დახმარების შესახებ ხელმისაწვდომი ინფორმაციის არარსებობა საქართველოში დემოკრატიაზე პირდაპირ უარყოფით გავლენას ახდენს, რადგანაც ძირს უთხრის დემოკრატიული ანგარიშვალდებულების მექანიზმებს. მართალია, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" ამ დრომდე არც უძებნია და არც აღმოუჩენია კორუფციის შემთხვევა, რომელიც დაკავშირებული იქნებოდა ბრუსელის დონორთა კონფერენციის შემდეგ საქართველოსთვის გამოყოფილ საერთაშორისო დახმარებასთან, მაგრამ ინფორმაციის ამჟამინდელი ნაკლებობა და შედეგად წარმოქმნილი გამჭვირვალობის დეფიციტი ზრდის საფრთხეს იმისა, რომ დახმარება მომავალში არასწორად განაწილდება, გაიფლანგება ან მოპარულ იქნება.

იმისათვის, რომ საერთაშორისო დახმარებამ ხელი შეუწყოს საქართველოს ჩამოყალიბებას სტაბილურ, დემოკრატიულ და წარმატებულ სახელმწიფოდ, დონორებმა და აგრეთვე ქართული მხარის ძირითადმა მოქმედმა პირებმა აქტიურად უნდა ითანამშრომლონ და საზოგადოებისათვის უფრო ხელმისაწვდომი გადახადონ ყოვლისმომცველი (და გასაგები) ინფორმაცია დახმარების შესახებ.

- <u>დონორებმა</u> უნდა გადადგან ნაბიჯები, რათა აქტიურად წარუდგინონ ქართულ საზოგადოებას ადვილად ხელმისაწვდომი და გასაგები ინფორმაცია მათი საქმიანობის შესახებ. მარტივი პირველი ნაბიჯი იქნებოდა იმის დადგენა, თუ კონკრეტულად ვინ უნდა გასცეს პასუხი მიმართვებს საჯარო ინფორმაციის მიღების თაობაზე, აგრეთვე იმისა, თუ რა სახის ინფორმაცია არის საიდუმლო და არ შეიძლება იყოს ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის (თუკი ასეთი ინფორმაცია საერთოდ არსებობს).

- <u>დონორებმა</u> სწრაფად უნდა იმოქმედონ აკრაში მიცემული დაპირებების შესასრულებლად, რომელთა მიხედვით ისინი დაუყოვნებლივ „წარადგენენ სრულ და აქტუალურ ინფორმაციას მათი ყოველწლიური ვალდებულებების და რეალურად გამოყოფილი თანხების შესახებ", „რეგულარულად გამოაქვეყნებენ ინფორმაციას თანხების გამოყოფასთან დაკავშირებული ყველა პირობის შესახებ" და „რეგულარულად და დროულად წარადგენენ ინფორმაციას მომდევნო სამი-ხუთი წლის განმავლობაში დაგეგმილი ხარჯებისა და საქმიანობის შესახებ." დღეს, საქართველოში მოქმედი დონორების უმრავლესობა ისევ შორს არის გამჭვირვალობის ამ ძირითადი მოთხოვნების შესრულებისგან.

- <u>დონორებმა</u> არ უნდა დაივიწყონ აკრაში გაცხადებული დაპირება, რომ 2010 წლისათვის შეასრულებენ ადრე ნაკისრ ვალდებულებას და ერთგულნი იქნებიან გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების და დემოკრატიული მონაწილეობის პრინციპებისა, როგორც ამას დახმარების ეფექტურობის შესახებ პარიზის დეკლარაცია ითვალისწინებს. რადგანაც საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა წერა-კითხვის მცოდნეა და ქვეყანას ქმედუნარიანი მთავრობა ყავს, საქართველო არის ერთ-ერთი დახმარების მიმღებ იმ ქვეყნებს შორის, სადაც პარიზის დეკლარაციის განხორციელება ყველაზე იოლი უნდა იყოს. დრო გადის და ვალდებულებების შეუსრულებლობას არავითარი გამართლება არ ექნება.

- <u>ფინანსთა სამინისტრო,</u> როგორც ჩანს, ძალზედ წარმატებით ახერხებს დახმარების აღნუსხვას, მაგრამ არ ცდილობს საზოგადოების აქტიურად ინფორმირებას დახმარებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ. საქართველოს მოქალაქეებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა გასაგებ ფორმატში არის არა ერთ-ერთი შესაძლო დამატებითი ნაბიჯი, არამედ სამთავრობო უწყების ძირითადი ფუნქცია დემოკრატიულ საზოგადოებაში. არის რა ერთადერთი ორგანო საქართველოში, რომელსაც საერთაშორისო დახმარების აღნუსხვის უფლებამოსილება

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

და შესაძლებლობა აქვს, სამინისტრომ საკუთარ თავზე უნდა აიღოს დახმარების შესახებ ინფორმაციის საზოგადოებისათვის მიწოდების პასუხისმგებლობა.

- ოპოზიციამ, როგორც საპარლამენტომ ისე არასაპარლამენტომ, მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს დახმარებასთან დაკავშირებულ საკითხებს. აქტიური თანამშრომლობა ძირითად დონორებთან მათი გეგმების გაცნობისა და განხილვის მიზნით უნდა გახდეს პირველი ნაბიჯი დახმარებასთან დაკავშირებულ პროცესებში აქტიური მონაწილეობისაკენ.

ინფორმაცია პროექტის შესახებ

წინამდებარე ანგარიში მომზადდა პროექტის „ეფექტური დახმარება საჯარო მონაწილეობის მეშვეობით“ ფარგლებში. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ეს ორთვიანი პროექტი დაფინანსებული იყო საქართველოში ეუთო-ს მისიის მიერ, რომელმაც ამ მიზნისთვის 14 620 ევრო გამოყო. ანგარიში დაურიგდა 2000-ზე მეტ ადამიანს როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

უახლოეს წლებში, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ გააგრძელებს საქართველოში შემომავალი საერთაშორისო დახმარების აღნუსხვას, მონიტორინგს და შეფასებას. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მიერ მომზადებული ანგარიშების გამოწერა შეგიძლიათ ჩვენს ვებ-გვერდზე: www.transparency.ge

ძირითადი დოკუმენტები და ვებ-გვერდები

აკრის მოქმედების გეგმა
http://siteresources.worldbank.org/ACCRAEXT/Resources/4700790-1217425866038/AAA-4-SEPTEMBER-FINAL-16h00.pdf

პარიზის დეკლარაცია დახმარების ეფექტურობის შესახებ
http://www.gc21.de/ibt/alumni/ibt/docs/Paris_Declaration_en.pdf

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ანგარიში საჭიროებათა შეფასების ერთობლივი დოკუმენტის შესახებ (2008 წ. ოქტომბერი)
http://www.transparency.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=215&info_id=447

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ პრეს-რელიზი დონორთა კონფერენციის შესახებ (2008 წ. ოქტომბერი)
http://www.transparency.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=50600&info_id=437

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ პრეს-რელიზი მილიარდი დოლარის გამოყოფის თაობაზე პრეზიდენტ ბუშის დაპირებასთან დაკავშირებით (2008 წ. სექტემბერი)
http://www.transparency.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=210&info_id=435

ფინანსთა სამინისტრო
http://www.mof.ge/

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge